მიმდინარე წლის 1-14 ნოემბერს თბილისის 118-ე საჯარო სკოლის მე-3ა კლასში (დამრიგებელი ლონდა ლავრინენკო) ჩატარდა კომპლექსური დავალება ქართულ ენაში სახელწოდებით „ავჭალელი ბავშვები“-ასტრიდ ლინდგრენის „ბიულერბიელი ბავშვების“ მიხედვით.

კომპლექსური დავალება-„ავჭალელი ბავშვები“

ასტრიდ ლინდგრენის „ბიულერბიელი ბავშვების“ მიხედვით.

მოსწავლეები გაეცნენ კომპლექსური დავალების პირობას, მიიღეს პრაქტიკული რჩევები დავალებაზე მუშაობისთვის.

მთლიანი სამუშაო დავყავით ნაბიჯებად.

ნაბიჯი 1. ილუსტრაციის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა

ნაბიჯი 2. ლექსიკონზე მუშაობა

ნაბიჯი 3. ეპიზოდი 1. პერსონაჟი გოგონების დახატვა ტექსტის მიხედვით. ბრიტა კლასში დახატეს, ლიზა და ანა კი-სახლში.

ნაბიჯი 3. ეპიზოდი 2. როლებად კითხვა. ბავშვებმა თავად აირჩიეს როლი და გაითამაშეს აგდასთან სტუმრობის სცენა.

ნაბიჯი 3. ეპიზოდი 3. პერსონაჟი ვაჟების ხატვა. ბოსე კლასშივე დახატეს, ლასე და ულე კი-სახლში.

ნაბიჯი 4. ტექსტის გააზრება-კითხვებზე პასუხის გაცემა და პასუხის სწორი ვარიანტების შერჩევა.

ნაბიჯი 5. სქემის შევსება სურათის მიხედვით

ნაბიჯი 6. სქემის შევსება ტექსტის მიხედვით.

ნაბიჯი 7. სამაბზაციანი თავისუფალი თემის წერა-„ერთხელ მეც უფროსივით მეცვა“.





ნაბიჯი 8. ილუსტრაციის აღწერა ნიმუშის მიხედვით.

ნაბიჯი 9. ილუსტრაციის გადახატვა, გაფერადება და აღწერა.



ნაბიჯი 10. ტანისამოსის გადახატვა და გაფორმება დეტალებით, შემდეგ -აღწერა.

ნაბიჯი 11. ასტრიდ ლინდგრენის ბიოგრაფიის და მნიშვნელოვანი მოვლენების გაცნობა. ბიოგრაფიის მიხედვით მუშაობა ტექსტის გააზრებაზე, ფაქტებისა და მოსაზრებების გაცნობა. ლექსიკურ და გრამატიკულ საკითხებზე მუშაობა.

წერა-მოსაზრებების გამოთქმა თავიანთთვის საყვარელი ნაწარმოების ირგვლივ.

კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ დავალებად მივეცი წაიკითხონ ასტრიდ ლინდგრენის „ ბიულერბიელი ბავშვები“ და მწერლის სხვა ნაწარმოებები.

წიგნის წაკითხვის შემდეგ უყურონ ამ წიგნის მიხედვით გადაღებულ ფილმს.

დავალების დასრულების შემდეგ ბავშვებმა შეავსეს საკუთარ თავზე დაფიქრების სქემა.

დავალების დასკვნითი დღე-ტანისამოსის გადაცმის დღე, რომელიც სიმბოლურად დაემთხვა ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღეს, 14 ნოემბერს